ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №GF-H/ET/S-958

ქ. თბილისი „14„ აპრილი 2022 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ - ს/კ №211324351 (შემდგომში „შემსყიდველი“), ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილის/პროგრამების დირექტორის ირმა ხონელიძის სახით, და მეორე მხრივ, (ააიპ) ჯანმრთელობის კვლევის კავშირი - ს/კ№204977230 (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი დირექტორის მაია ბუწაშვილის სახით, ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა ელექტრონული ტენდერის საშუალებით (NAT220002371) განახორციელა - „აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის“ (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) (შემდგომში „GFATM“) მიერ დაფინანსებული „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა“ (GEO-H-NCDC) პროგრამის ფარგლებში »აივ/შიდსის გავრცელების მხრივ მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფში ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლების სარისკო ქცევების და პოპულაციის რაოდენობის განსაზღვრის კვლევების მომსახურების (CPV79300000 - ბაზრის კვლევა და ეკონომიკური კვლევა; გამოკითხვები და სტატისტიკა; CPV 79311300 - გამოკითხვების შედეგების ანალიზი) შესყიდვა, რაზედაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება სატენდერო პირობების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება და მომსახურების ვადები

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 637,200.00 (ექვსასოცდაჩვიდმეტი ათას ორასი ლარი და 00 თეთრი) ლარს (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“), რომელიც მოიცავს ხელშეკრულებით გათვლისწინებულ მომსახურებასთან და მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, დღგ-ს ჩათვლით

3.2. მომსახურების ღირებულება მოცემულია დანართი №1-ში (მომსახურების ფასების ცხრილი და განხორციელების ვადები), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, რომელიც განხორციელდება ხელშეკრულების დანართ №1-ში (მომსახურების ფასების ცხრილი და განხორციელების გეგმა-გრაფიკი) განსაზღვრული ვადებისა და ტექნიკური აღწერილობის (დანართი №2) შესაბამისად.

3.4. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ გამყოფილი გრანტით დაფინანსებული პროგრამა „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა“ (GEO-H-NCDC) (საბიუჯეტო ხაზი: EPS 24).

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1.მიღება-ჩაბარების წინ განხორციელდება გაწეული მომსახურების ინსპექტირება, რომელსაც განახორციელებს ხელშეკრულების 5.1. პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

4.2. მიღება-ჩაბარების აქტებს შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

4.3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა, უნდა წარმოადგინოს გაწეული მომსახურების შესახებ წერილობითი ანგარიში (დანართი 1ა) დანართი №1-ით (მომსახურების ფასების ცხრილი და განხორციელების ვადები) განსაზღვრული ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.4.მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 4.3. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენა. პასუხისმგებლობა შემსყიდველის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის ეკისრება მიმწოდებელს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1.ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული პროგრამების მართვის ჯგუფის აივ ინფექცია/შიდსის პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების ოფიცერი ეკატერინე რუაძე, ფინანსების სპეციალისტი მირანდა მამრიკიშვილი, შესყიდვების სპეციალისტი ხათუნა კაპანაძე.

5.2. ინსპექტირება განხორციელდება, მიმწოდებელის მიერ შემსყიდველისათვის წარდგენილი ანგარიშების განხილვის საფუძველზე;
5.3. ინსპექტირების ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.
5.4. ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო საბუთის წარდგენა, ფინანსური ხარჯის და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა ეკისრება მიმწოდებელს.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.
6.2. ანგარიშსწორების საფუძველს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ 4.3 პუნქტის საფუძველზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი და ანგარიშ ფაქტურა.
6.3. მიმწოდებლის მიერ წინასწარი ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მოახდინოს წინასწარი ანგარიშსწორება, არაუმეტეს სახელშეკრულებო ღირებულების 25%–ის ოდენობით. ამასთან, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი თანხის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია. ავანსი გაიქვითება 2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით.
6.4. საბანკო გარანტია უნდა შეიცავდეს გარანტიის გამცემის ვალდებულებას შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის წინასწარ ავანსად გაცემული თანხის აღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესრულებისგან განსხვავებული მიზნებისათვის გამოყენების ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში, შემსყიდველს მისი პირველივე მოთხოვნისთანავე გადაურიცხოს გარანტიით განსაზღვრული თანხა.
6.5. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წინასწარი ანგარიშსწორების საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს მომსახურების განხორციელების ვადას. იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი გარანტიის ვადა ნაკლებია ზემოაღნიშნულზე, მიმწოდებელი ვალდებულია გაახანგრძლივოს გარანტიის მოქმედების ვადა შემსყიდველის მოთხოვნისთანავე;
6.6. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში საბანკო გარანტია გამოყენებული იქნება მიმწოდებლის მიერ შეუსრულებელი ვალდებულების ასანაზღაურებლად;
6.7. წინამდებარე ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების და მიმწოდებელის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე შემსყიდველი არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში გადაურიცხავს მიმწოდებელს შესაბამისი ოდენობის თანხას.

7. მხარეთა უფლება- მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მომსახურების ხარისხის და/ან მიწოდების პირობების გაუარესების გამო, აგრეთვე მე-8 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში;
7.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე;
7.3. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს:
ა) გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
ბ) მიმწოდებლის დროული ინფორმირება გლობალური ფონდის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა აღნიშნული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:
ა) განახორციელოს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები ხარისხიანად, დანართი №1-ის (მომსახურების ფასების ცხრილი და განხორციელების ვადები) და თანდართული დანართი №2-ის (ტექნიკური განაცხადის) შესაბამისად;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდა და არ მოთხოვოს შემსყიდველს სხვა არავითარი გადასახადის ან დამატებითი თანხის გადახდა.
გ) მიიღოს ზომები, რათა არ დაუშვას ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული თანხების, ან აქტივების გამოყენება ძალადობის და/ან ტერორიზმის მიზნებისთვის ან ფულის გათეთრების საქმიანობების მხარდასაჭერად, და/ან იმ ორგანიზაციების მხარდასაჭერად, რომლებიც მხილებულნი არიან ტერორიზმის ან ფულის გათეთრების საქმიანობაში.
დ) მიმწოდებელი ვალდებულია გაეცნოს და დაიცვას გლობალური ფონდის (დონორის მიერ პერიოდულად განახლებადი და გლობალური ფონდის ვებ.გვერდზე განთავსებული) „მიმწოდებლების ქცევის კოდექსი"- https://www.theglobalfund.org/media/3275/corporate_codeofconductforsuppliers_policy_en.pdf/,იხელმძღვანელოს საინფორმაციო სისტემებისა და მონაცემთა გაცვლის სახელმძღვანელოს https://www.theglobalfund.org/media/9564/core_criticaldatamanagement_guidance_en.pdf) პირობებით.

8. პირგასამტეხლო

8.1. მომსახურების მე-2 ფაზის 2.2 პუნქტით განსაზღვრული ღონისძიების განხორციელების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე გაანგარიშებით იხდის პირგასამტეხლოს აღნიშნული ღონისძიების მთლიანი ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.2. ხელშეკრულების მე-6.1. პუნქტით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

8.3. საჯარიმო თანხის ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს ოდენობით დაფიქსირების შემთხვევაში, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

8.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.5. იმ შემთხვევაში, თუ მხარე ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებას ან/და შესრულებელი ვალდებულების ჯამური პირგასამტეხლო დაფიქსირდება 8.3. პუნქტში მითითებული განაკვეთის ოდენობით მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.

8.6. მიმწოდებელი ვალდებულია ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაკისრებული პირგასამტეხლო გადაიხადოს წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ფასები

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

10.1. ხელშეკრულებაში გამოიყენება საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 12,744.00 (თორმეტი ათას შვიდას ორმოცდაოთხი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულება უწყვეტად უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიით, ხელშეკრულების მოქმედების სრული პერიოდის განმავლობაში.

10.3 ხელშეკრულების შესრულების გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო;

10.4 შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევის ფაქტის გამოვლენა და ამის შესახებ გარანტიის გამცემი ბანკის ინფორმირება წარმოადგენს ძირითად საფუძველს გარანტიის გამცემი ბანკის მიერ საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის უკან დასაბრუნებლად.

10.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემდეგ შემსყიდველი დაუბრუნებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას.

10.6 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნებს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას.

11. ფორს-მაჟორული გარემოებები

11.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

11.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);

ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;
გ) ეპიდემიები;
დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;
ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.
11.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.
11.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).
11.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.
11.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
11.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.
11.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
12.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2. შემსყიდველმა და მომწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა
13.1. თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
13.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულების ვადის გასვლით, ხელშეკრულების პირობების შესრულებით ან მხარეთა შეთანხმებით.
13.3. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წერილობით 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე აცნობოს აღნიშნულის თაობაზე. ხელშეკრულების შეწყვეტას უნდა გააჩნდეს ობიექტური დასაბუთება.
13.4. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.
13.5. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ასევე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში.

14. სხვა პირობები
14.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
14.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
14.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
14.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
14.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

14.6. ხელშეკრულება გაფორმებულია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
14.7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ იურიდიული/ფაქტიური მისამართი: ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი №99 ს/კ №211324351 სახელმწიფო ხაზინა ბ/კ №TRESGE22	ა(ა)იპ „ჯანმრთელობის კვლევის კავშირი“ იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ.№8, ს/კ 204977230 ელ. ფოსტა: healthresearchunion@gmail.com. ტელ: (+995) 322144447; სს „თი ბი სი ბანკი“ ბ/კ № TBCBGE22 ა/ა № GE90TB0600000035700952
----------	----------
ირმა ხონელიძე გენერალური დირექტორის მოადგილე/ პროგრამების დირექტორი	მაია ბუწაშვილი დირექტორი

L Sakvarelidze National Center For Disease Control and Public Health
Digitally signed by L Sakvarelidze National Center For Disease Control and Public Health
Date: 2022.04.14 13:14:16 +04'00'

Health Research Union
Digitally signed by Health Research Union
Date: 2022.04.14 15:33:46 +04'00'

დანართი N 1ა

შესრულებული სამუშაოს სიტყვიერი ანგარიშის ფორმა

(ამ ფორმის შევსება და წარდგენა შემსყიდველი ორგანიზაციისთვის სავალდებულოა. ფორმა უნდა წარედგინოს ყოველი თვის დასრულებიდან კონტრაქტით განსაზღვრულ ვადებში ფინანსურ ანგარიშთან ერთად)

ხელშეკრულების # _____	
პროგრამის დასახელება	
პროექტის სახელწოდება _____	
ფორმა შეავსო _____ (სახელი, გვარი)	_____ (პოზიცია)
შევსების თარიღი _____	
მიმწოდებელი_____ (სახელი, გვარი/ორგანიზაციის დასახელება)	_____ (მისამართი)
პროექტის დაწყების თარიღი _____	პროექტის დასრულების თარიღი _____
საანგარიშო პერიოდის დაწყების თარიღი _____	საანგარიშო პერიოდის დასრულების თარიღი _____
საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოს ღირებულება: _____	
ნაზარდი ჯამით შესრულებული სამუშაოს ღირებულება: _____	

1. რა ღონისძიებები განხორციელდა პროექტის ფარგლებში? [ჩამოთვალეთ გეგმა გრაფიკის მიხედვით/რიგითობით და აღწერეთ ცალკეული აქტივობა]
2. წარმოადგინეთ სწავლების მასალები: კურიკულუმი და სილაბუსი, შეფასების კითხვარი და პრე- და პოსტ- ტესტის ანალიზი
3. თუ რაიმე ვერ განხორციელდა დაგეგმილის მიხედვით, გთხოვთ მიუთითოთ რა ვერ განხორციელდა და რა იყო ამის მიზეზი.
4. პროექტის მიმდინარეობის მოსალოდნელი ცვლილებების არსებობის შემთხვევაში წარმოადგინეთ გეგმა გრაფიკი შესაბამისი ცვლილებებით და მიზეზების მითითებით.

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა

ბ. ა

მომსახურების ფასების ცხრილი და განხორციელების საორიენტაციო ვადები დანართი *1*

ღონისძიება	საორიენტაციო ვადა	ანაზღაურების წინაპირობა	ღირებულება ლარში დღგ-ს გარეშე	ღირებულება ლარში დღგ-ს ჩათვლით
ფაზა 1			**საერთო ბიუჯეტის 60%**	**საერთო ბიუჯეტის 60%**
1.1 კვლევის მეთოდოლოგიისა და კითხვარის საბოლოო ვერსიების შეთანხმება შემსყიდველთან დოკუმენტების ეთიკის კომისიაზე წარდგენა. ციფრული კითხვარის შემუშავება	ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი	წარმოდგენილია საბოლოოდ შეთანხმებული კითხვარი, ეთიკური კომისიის დადებითი დასკვნა, ციფრული ვერსია კითხვარის	22000	25960
1.2 საველე სამუშაოები და ლაბორატორიული ტესტირების დასრულება, გარდა კონფირმაციული კვლევებისა	არაუგვიანეს *30 ივნისის ჩათვლით, 2022წ.*	წარმოდგენილია საველე სამუშაოების ანგარიში მონაწილეთა რაოდენობებით და ლაბორატორიული ტესტირების შედეგებით, მოცემულია წვდომა ელექტრონული კითხვარის ლინკზე მონაცემების შეტანის დასადასტურებლად.	302000	356360
ფაზა 2			**საერთო ბიუჯეტის 40%**	**საერთო ბიუჯეტის 40%**
2.1 მონაცემთა ბაზის საბოლოო ვერსიის მომზადება, მათ შორის კონფირმაციული კვლევების შედეგების და სტატისტიკური ანალიზი	*31* ოქტომბერი, *2022*	წარმოდგენილია მონაცემთა საბოლოო ბაზა სრული ლაბორატორიული და ქცევითი ნაწილების	95000	112100
2.2 კვლევების ძირითადი მიგნებების ანგარიშის მომზადება ქართული და ინგლისურ ენებზე	*30* ნოემბერი, *2022* წ.	წარმოდგენილია საბოლოო ანგარიშები ქართული და ინგლისურ ენებზე	121000	142780
			540000	**637200**

შენიშვნა:

1. ღირებულება უნდა მოიცავდეს მომსახურებასთან და მის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, გარდა დამატებული ღირებულების გადასახდისა. ხარჯები, რომლებიც ღირებულებაში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.

Health Research Union

Digitally signed by Health Research Union
Date: 2022.03.15 10:59:02 +04'00'

ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლების სარისკო ქცევების და პოპულაციის რაოდენობის განსაზღვრის კვლევა

მომსახურების განხორციელების ტექნიკური აღწერა

1. მიზანი

პროექტის მიზანს წარმოადგენს ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში (ნიმ) სარისკო ქცევაზე ზედამხედველობის და აივ ინფექციის გავრცელების ტენდენციის შესწავლის მიზნით ბიომარკერული/ქცევის ზედამხედველობის კვლევების განხორციელება.

2. ამოცანები

2.1. კვლევის მონაწილეების ბიომარკერული ტესტირება
2.2. ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების პოპულაციის ოდენობის განსაზღვრის კვლევის ჩატარება
2.3. ნარკოტიკების მოხმარების გავრცელების ტენდენციის შეფასება - ოპიოიდებზე დამოკიდებული ნიმ-ების სავარაუდო რიცხვის, ზედოზირების და ზედოზირებით გარდაცვლილთა რაოდენობის შეფასება

3. მეთოდები

3.1. კვლევის ადგილი

ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების ქცევისა და ბიომარკერული კვლევა განხორციელდება საქართველოს შვიდ ქალაქში:

თბილისი, ბათუმი, ზუგდიდი, თელავი, ქუთაისი, გორი, რუსთავი.

3.2. საკვლევი ნიმუშის ზომა

კვლევაში მონაწილე ნიმ-ების რაოდენობაა 2000 ადამიანი, მათ შორის თბილისში 380 და დანარჩენ 6 ქალაქში არანაკლებ 270 ნიმ-ი თითო ქალაქში.

3.3. *კვლევის დიზაინი*

- ნიმ-ებში ქცევაზე ზედამხედველობის კვლევა ჩატარდება ჯვარედინ-სექციური მეთოდით.

- რესპონდენტების შეგროვება მოხდება Respodent Driven Sampling (RDS) მეთოდოლოგიის გამოყენებით.

- ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლის მოზიდვა განხორციელდება „მარცვლების“ გამოყენებით.

- "მარცვლებთან" ჩატარდება ინტერვიუ სპეციალური სტრუქტურიზებული კითხვარით. - კვლევის მონაწილეებისთვის გათვალისწინებული იქნება მცირე ფულადი წახალისება (თითოეული მონაწილის წახალისება, ასევე მათი დამატებითი წახალისება სამი ახალი რესპოდენტის მოყვანისათვის).

3.3. ბიომარკერული ტესტირება

კვლევის ფარგლებში განხორციელდება სისხლის ნიმუშების გამოკვლევა აივ-ზე (anti-HIV), B (HBsAg) და C ჰეპატიტებზე (anti-HCV).
აივ-ზე სკრინინგისათვის გამოყენებულ იქნეba სწრაფი მარტივი (RDT) ტესტი. აივ დადებითი ნიმუშების გადამოწმება მოხდება ჯანმოს მიერ დამტკიცებული აივ კონფირმაციის მეთოდით.

3.4. მონაცემების შეგროვება და სტატისტიკური ანალიზი

- მონაცემების შეგროვება მოხდება ელექტრონულად, ციფრული კითხვარის გამოყენებით.
- კითხვარის დეშბორდის ფუნქციის საშუალებით მოხდება რეალურ დროში კვლევის განხორციელების პროგრესის მონიტორინგი.
- მონაცემები ექსპორტირდება ციფრული კითხვარიდან სტატისტიკურ პროგრამა SPSS v.23-ში, რომელშიც განხორციელდება მონაცემთა ბაზის გაწმენდა და სტატისტიკური ანალიზი.
- სტატისტიკური ანალიზისთვის გამოვიყენებთ უნივარიაციული, ბივარიაციული და მულტივარიაციული ანალიზის მეთოდებს.

3.5.ინექციურ მომხმარებელთა პოპულაციის ზომის განსაზღვრა

გამოყენებულ იქნება ქსელის ზომის განსაზღვრის მეთოდი (Network Scale-Up, NSU; მოდიფიცირებული ჩაჭერა- უკუჩაჭერის მეთოდი (Capture-recapture, CRC); კოეფიციენტების ტექნოლოგია (MultiplierBenchmark method).
მონაცემების შეგროვება მოხდება სხვადასხვა წყაროდან: დაწესებულება ან სერვისი, რომელთანაც კონტაქტი აქვს ნიმ-ებს; თავად ფარული პოპულაციის წევრები - ნიმები.

4.ეთიკური საკითხები

კვლევის დაწყებამდე მოხდება კვლევის პროტოკოლის, კითხვარის, რესპონდენტისთვის განკუთვნილი საინფორმაციო ფურცლის და რესპონდენტის თანხმობის ფორმის წარდგენა ჯანმრთელობის კვლევის კავშირის ეთიკურ საბჭოზე

(IRB). კვლევის მიმდინარეობისას სრულად იქნება დაცული მონაწილეთა კონფიდენციალობა. მონაცემთა ბაზები სრულად იქნება დეიდენტიფიცირებული.

5. კვლევის ანგარიშგება და შედეგების დისემინაცია

- კვლევის შედეგები წარმოდგენილი იქნება შესაბამის ანგარიშში, რომელიც მომზადდება ქართულ და ინგლისურ ენებზე.
- კვლევის შედეგების წარდგენა მოხდება როგორც ლოკალური, ასევე საერთაშორისო აუდიტორიის მიმართ.
- ასევე, მომზადდება პუბლიკაცია შესაბამისი თემატიკის სამედიცინო ჟურნალში გამოსაქვეყნებლად.

სს "თიბისი ბანკი", მარჯანიშვილის ფილიალი
JSC "TBC Bank", Marjanishvili Branch

252/102-01

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა

საბანკო გარანტია N 302786-11938022

ქალაქი თბილისი

2022 წლის 05 აპრილი

გარანტი: სს თიბისი ბანკი (ს/ნ 204854595)
გარანტის მისამართი: კ. მარჯანიშვილის ქ. #7, თბილისი 0102, საქართველო
პრინციპალი: ჯანმრთელობის კვლევის კავშირი (ს/ნ 204977230)
ბენეფიციარი: ს.ს.ი.პ. "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი" (ს/ნ 211324351)
საგარანტიო თანხა: 12 744 (თორმეტი ათას შვიდას ორმოცდაოთხი) ლარი

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ ჯანმრთელობის კვლევის კავშირმა (შემდგომში „პრინციპალი"), ბენეფიციარის მიერ აივ ინფექციის/შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) დაფინანსებით, „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა" (GEO-H-NCDC) პროგრამის ფარგლებში აივ/შიდსის გავრცელების მხრივ მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფში ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლების სარისკო ქცევების და პოპულაციის რაოდენობის განსაზღვრის კვლევების მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში (#NAT220002371) წარდგენილი თავისი წინადადების შესაბამისად, იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით, ბენეფიციართან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში (შემდგომში „ხელშეკრულება") მითითებულ თანხაზე, ჩვენ, სს თიბისი ბანკი (მის.: საქართველო, ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქ. #7) (შემდგომში „გარანტი"), თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის სახელზე ზემოთ აღნიშნული საბანკო გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე საერთო თანხაზე 12 744 (თორმეტი ათას შვიდას ორმოცდაოთხი) ლარი და გამოუთხოვადად და უპირობოდ (რაც გულისხმობს, რომ საგარანტიო თანხის ანაზღაურების შესახებ ბენეფიციარის წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევა, მოთხოვნისა და/ან მოთხოვნილი თანხის ყოველგვარი დასაბუთების და დოკუმენტალურად დადასტურების ვალდებულების გარეშე) ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდას, პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე, თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

ბენეფიციარის მოთხოვნა თანხის ანაზღაურებაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით, სადაც მითითებული იქნება მოთხოვნილი თანხა და განმარტებული იქნება კონკრეტულად პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების რა პირობები იქნა დარღვეული პრინციპალის მხრიდან.

გარანტია ძალაში რჩება 2023 წლის 03 იანვრის ჩათვლით (შემდგომში „მოქმედების ვადა").
აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი მოთხოვნა ან პრეტენზია ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე, გარანტის ზემოთ მითითებულ მისამართზე.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
- ბენეფიციარის მიერ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე საკუთარ უფლებებზე წერილობით უარის თქმით;
- გარანტის მიერ საგარანტიო თანხის ბენეფიციარისთვის სრულად გადახდით.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

სს "თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალის კოორდინატორი

ლევან ვაჩეიშვილი

დავით აღმაშენებელი გამზ. 61
0102 თბილისი, საქართველო
61 David Agmashenebeli Ave,
0102 Tbilisi, Georgia
ტ/T: +995 32 227 27 27
ფ/F: +995 32 277 27 74
www.tbcbank.ge